

უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (I2)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის დეკემბრის თვეში უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობამ ქვეყნის მასშტაბით 50 771 ერთეული შეადგინა. ა.წ. დეკემბერი 2010-2013 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახად ზრდით გამოირჩევა: 2010 წლის დეკემბერთან (42 074 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 20.7%-ით, 2011 წლის დეკემბერთან (43 325 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 17.2%-ით, 2012 წლის დეკემბერთან (37 984 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 33.7%-ით და 2013 წლის დეკემბერთან (45 139 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 12.5%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 18.5%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველადი (16.7%-ით), ისე მეორადი (18.8%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის დეკემბრის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2007=100) დაფიქსირდა 1.207 დონეზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.073).

ამკარაა, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა უძრავი ქონების როგორც პირველადი (7.3%-ით), ისე მეორადი (13.5%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის დეკემბრის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 8 087, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 42 684 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2007=100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.731 და 1.377 დონეებზე დაფიქსირდა.

2014 წლის განმავლობაში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობამ ქვეყნის მასშტაბით 519 763 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 17.6% პირველადი ტრანზაქციაა, ხოლო ხოლო 82.4% - მეორადი. ამავე წელს სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობაში დაფიქსირდა ზრდა (7.7%-ით) წინა წელთან შედარებით: გაიზარდა როგორც პირველადი (0.6%-ით), ისე მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების (9.4%-ით) რაოდენობა.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა... დეკემბერი, 2013-2014

(ბ) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების წლის სტატისტიკა... 2013-2014

(გ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა
დეკემბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	დეკემბერი	
		2013	2014
რაოდენობა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	7538	8087
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	37601	42684
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	45139	50771
სტრუქტურა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	16.7	15.9
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	83.3	84.1
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-13.1	16.7
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	10.6	18.8
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	5.8	18.5
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	0.6	7.3
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	23.3	13.5
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	18.8	12.5
სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.681	0.731
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.213	1.377
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.073	1.207

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2015

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების წლის სტატისტიკა
2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	2013	2014
რაოდენობა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	90848	91349
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	391627	428414
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	482475	519763
სტრუქტურა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	18.8	17.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	81.2	82.4
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა წელთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-25.8	0.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	5.1	9.4
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-2.6	7.7

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2015

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

Վճարահարմարության ցուցանիշի տեղափոխություն... 2010-2014
տեղափոխություն համեմատման բնագծով (հազարով)

